

# რა ვიცით ახალი კორონავირუსის შესახებ

ელექტრონული ნარჩენების მართვის შესაძლებლობების  
განვითარების მხარდაჭერა საქართველოში




შვედეთი  
Sverige



მომზადებულია GEORGIA'S ENVIRONMENTAL OUTLOOK – GEO-ს შიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით. გამომქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიქლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

## რა არის ვირუსი

ვირუსი არის სიცოცხლის არაუჯრედული ფორმა, რომელიც შედგება გენეტიკური მასალისგან (დნმ ან რნმ) და ცილოვანი გარსისგან. ვირუსები უნიკალურები არიან, რადგან გამრავლება მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში შეუძლიათ. მათ აქვთ უნარი, გაარღვიონ მასპინძელი ორგანიზმის უჯრედის გარსი, აიძულონ მასპინძელი ორგანიზმი წარმოქმნას ვირუსის ასეულობით ახალი ასლი და გამოიწვიონ სხვადასხვა დაავადება.



სურ. 1: კორონავირუსი SARS-CoV-2-ის სტრუქტურა

## რა არის კორონავირუსი

კორონავირუსები მოიცავს ვირუსთა დიდ ოჯახს, რომლებიც იწვევენ როგორც ჩვეულებრივ გრიპს, ასევე ცხელებით მიმდინარე დაავადებებს. ეს სახელწოდება მათ დაერქვათ ზედაპირზე არსებული გვირგვინის მსგავსი ფორმის ცილოვანი წანაზარდების არსებობის გამო (სურათი 1).

ადამიანის დაავადების გამომწვევი კორონავირუსები პირველად იდენტიფიცირდა 1960-იან წლებში. ადამიანებში გავრცელებული კორონავირუსების 7 სახეობიდან ოთხი, ჩვეულებრივ, სეზონურად ცირკულირებს. ესენია:

1. 229E (alpha coronavirus)

2. NL63 (alpha coronavirus)

3. OC43 (beta coronavirus)

4. HKU1 (beta coronavirus)

კორონავირუსების დანარჩენი სამი სახეობა კი ცხოველებში ცირკულირებდა. თუმცა, მუტაციების (გენში წარმოშობილი უცარი ცვლილება) გამო, მათ შეძლეს ადამიანის ორგანიზმში გადასვლა, ადამიანიდან ადამიანზე გავრცელება და უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ეპიდემიები გამოიწვიეს. კორონავირუსების ეს ჯგუფებია:


**SARS-CoV-** იწვევს მძიმე მწვავე რესპირაციულ სინდრომს (SARS). ეს ვირუსი აღმოჩენილი იქნა აზიაში (2003 წ.). მისი რეზერვუარია ღამურა და გარეული თრითინა (მუსანგი);

**MERS-CoV-** შუა აღმოსავლეთის რესპირაციული სინდრომის გამომწვევი ვირუსია (MERS), რომლის რეზერვუარია აქლემი. პირველად იდენტიფიცირდა საუდის არაბეთში (2012 წ.);

**ახალი კორონავირუსი - COVID-19** (ვირუსის ოფიციალური სახელია SARS-CoV-2), რომელიც არის ახალი კორონავირუსული დაავადების, იგივე COVID-19-ის გამომწვევი ვირუსი. ამ დაავადების სახელი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11 თებერვალს ოფიციალურად გააჟღერა. “CO”-აღნიშნავს “corona”-ს, “VI”-აღნიშნავს -virus, “D” –disease (დაავადება), რიცხვი „19“ კი მის სახელში უკავშირდება ამ ვირუსით გამოწვეული დაავადების აფეთქების პერიოდს, რომელიც 2019 წელს დაიწყო.

## ახალი კორონავირუსი

დღევანდელი პანდემიის გამომწვევი კორონავირუსის ახალი შტამი (COVID-19) პირველად აღმოჩენილი იქნა გასულ წელს, ჩინეთის ქალაქ ვუჰანში და კორონავირუსის ოჯახის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, გავრცელების ძალიან სწრაფი უნარით გამოირჩევა. ამჟამად არსებული ინფორმაციით, ვირუსის გადატანა ადამიანზე მოხდა ღამურებიდან, თუმცა სრული დაბეჭითებით ამის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან დამატებითი კვლევებია საჭირო (სურათი 2).



სურ. 2: კორონავირუსი SARS-CoV-2-ის ილუსტრაცია<sup>1</sup>

## რამდენ ხანს ინარჩუნებს ახალი კორონავირუსი სიცოცხლისუნარიანობას სხვადასხვა ზედაპირზე

ამჟამად არსებული ინფორმაციით, ვირუსი სხვადასხვა სახის ზედაპირზე განსხვავებული დროის განმავლობაში

ცოცხლობს, რამდენიმე საათიდან 7 დღემდე:

- სკილენძის ზედაპირზე - 4 საათამდე
- მუყაოზე - 24 საათამდე
- კლასტმასის და უჟანგავი ფოლადის ზედაპირებზე კი 72 საათამდე<sup>2</sup>

<sup>1</sup> წყარო: აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრი

<sup>2</sup> წყარო: <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/question-and-answers-hub>  
<https://www.nih.gov/news-events/news-releases/new-coronavirus-stable-hours-surfaces>

## რა არის ეპიდემია და რა არის პანდემია

**ხშირად ერთმანეთში ერევათ ეპიდემია და პანდემია.**

**ეპიდემია** არის, როცა თემში ან განსაზღვრულ რეგიონში ავადობის სიხშირე შემთხვევათა მოსალოდნელ რაოდენობას აღემატება მოცემული პერიოდის განმავლობაში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოფიციალური პირები ხშირად იყენებენ ტერმინს „აფეთქება“.

**პანდემია** კი არის, როცა ეპიდემია რამდენიმე ქვეყანაში ან კონტინენტზე ვრცელდება და მოსახლეობის დიდ ნაწილს მოიცავს<sup>3</sup>.

2020 წლის 11 მარტს, როდესაც COVID-19-ის გავრცელებამ უკვე რამდენიმე კონტინენტი მოიცვა და მსოფლიოში უამრავი ადამიანი დაავადდა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა.



● ეპიდემია

● პანდემია

3 Principles of Epidemiology in Public Health Practice –Third Edition, U.S. Department of Health And Human Services, Center for Disease Control and Prevention (CDC)



## მსოფლიოში გავრცელებული ეპიდემიები და პანდემიები

მსოფლიო ისტორიას სხვადასხვა ვირუსით თუ ბაქტერიით გამოწვეული არაერთი პანდემია და ეპიდემია ახსოვს.

ბუსტად ერთი საუკუნის წინ 1918-1920 წლებში მსოფლიო **ესპანური გრიპით ე.წ. „ისპანკით“** გამოწვეულ პანდემიას ებრძოდა. როგორც ცნობილია, პანდემია დასავლეთის სამხედრო საწვრთნელ ბაზებზე დაიწყო და მის გავრცელებას ხელი არასანიტარულმა პირობებმა შეუწყო. ესპანური გრიპი ცნობილია, როგორც ყველაზე მომაკვდინებელი კატასტროფა მსოფლიოს ისტორიაში და მას 50 მლნ ადამიანი ემსხვერპლა - გაცილებით მეტი ვიდრე I მსოფლიო ომს.

ახლო წარსულში მომხდარი პანდემიებიდან უნდა აღინიშნოს 10 წლის წინ (2009-2010) აშშ-ში დაწყებული აფეთქება. გამომწვევი იყო **H1N1 გრიპის A ტიპის ვირუსი**, რომელიც გენეტიკურად ახლოს დგას ღორის გრიპის ვირუსთან და საზოგადოებაში „ღორის გრიპის“ სახელწოდებითაც ცნობილი. მსოფლიოში ვირუსმა 575 000 ადამიანი იმსხვერპლა.

აღსანიშნავია, ასევე, 2014-2016 წლებში **ებოლას ეპიდაფეთქება**, რომელიც აფრიკის კონტინენტზე დაიწყო. ებოლას ვირუსული დაავადების გამომწვევია ებოლას ვირუსი, რომელიც ვრცელდება დაავადებული ადამიანის სისხლის და სხვა ბიოლოგიური სითხეების დაზიანებულ კანთან ან ლორწოვან გარსთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად. ვირუსი ფართოდ არ გავრცელებულა და ეპიდაფეთქებამ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა მოიცვა. ვირუსი გარეული ცხოველებიდან გადავიდა ადამიანზე. მისი რეზერვუარია ღამურა, მაჩვზღარბა, ხილიჭამია ღამურა და მაიმუნი.

## როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი

ახალი კორონავირუსის გავრცელების ძირითად გზას წარმოადგენს ე.წ. „წვეთოვანი გზა“. დაინფიცირებული ადამიანის დახველების ან დაცემინებისას, სასუნთქი სისტემიდან ამოიფრქვევა COVID-19-ის ვირუსით გაჯერებული მიკროშხეფები, რომლებიც შეიძლება შეიჭრას ახლო ფიზიკურ კონტაქტში მყოფი მეორე ადამიანის პირის ან ცხვირის ღრუში, ან თვალში, და გამოიწვიოს მისი დაინფიცირება.

აღსანიშნავია, რომ „წვეთები“ არის მძიმე, ვერ ვრცელდება შორ მანძილზე და სწრაფად ილექება ზედაპირებზე. შესაბამისად, ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი შესაძლო გზა არის ე.წ. „კონტაქტური გავრცელება“, როდესაც დაინფიცირებულ ზედაპირთან შეხებით (მაგ.: მაგიდები, სინათლის ჩამრთველები, ლიფტის ლილაკები, ტელეფონი, კლავიატურა, ონკანი, ტუალეტი, სახეღურები, ფული და ა.შ.) და შემდეგ დაბინძურებული ხელით ლორწოვან გარსებზე მოხვედრით (თვალი, ცხვირისა და პირის ღრუ), ვირუსი გადადის ადამიანზე. აღსანიშნავია, რომ COVID-19 ვირუსის ნაწილაკები ფეკალურ მასებშიც აღმოჩნდა.

## რა სიმპტომები აღენიშნება ახალი კორონავირუსით დაინფიცირებულ ადამიანს

ახალი კორონავირუსით დაინფიცირებულ ადამიანს სიმპტომები შეიძლება გამოუვლინდეს დასნებოვნებიდან 2-14 დღის განმავლობაში. COVID-19-ით დაავადებულს შეიძლება აღენიშნებოდეს შემდეგი სიმპტომები:



მშრალი ხველა



სუნთქვის უკმარისობა



სიცხე



სურდო



დაღლილობა





ფაღარატი



კუნთების  
ტკივილი



ბულისრევა



სუნისა და გემოს  
გაუცხოვება და  
დაკარგვა

ახალი კორონავირუსით გამონვეული დაავადება პაციენტების 80-85%-ში მიმდინარეობს მსუბუქი ან საშუალო სიმძიმით, 10%-15%-ში დაავადება მძიმედ, ხოლო 5%-ში კი კრიტიკულად მძიმედ მიმდინარეობს. მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან 65 წელს გადაცილებული და თანმხლები ქრონიკული დაავადების მქონე ნებისმიერი ასაკის პირები.

დღეს არსებული მონაცემებით ცნობილია, რომ ახალი კორონავირუსით დაინფიცირებულ იმ პაციენტებს, რომლებშიც დაავადება კრიტიკულად მძიმედ მიმდინარეობს, აღენიშნებათ მძიმე ფილტვების ანთება, სეპტიური შოკი ფილტვების შეშუპების და მულტიორგანული უკმარისობის გამოვლენით და ესაჭიროებათ ხელოვნური მართვითი სუნთქვა.

## როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან COVID-19, გრიპი და გაციება სიმპტომების მიხედვით

სამივე ამ ინფექციის გამომწვევი ვირუსია. გაციება შეიძლება გამოიწვიოს 200-მდე სხვადასხვა ვირუსმა. გრიპის გამომწვევი არის გრიპის ვირუსი და ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გამომწვევი არის კორონავირუსის ახალი შტამი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია გრიპის, გაციებისა და COVID-19-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შედარება.

## გაციება, გრიპის და COVID-19-ის სიმპტომების შედარება

სიმპტომები	გაციება	გრიპი	COVID-19*
სიცხე	იშვიათი	მაღალი ტემპერატურა 3-4 დღე	ხშირი
თავის ტკივილი	იშვიათი	ინტენსიური	შეიძლება აღინიშნოს
ზოგადი ტკივილები	უმნიშვნელო	ხშირი	შეიძლება აღინიშნოს
დაღლილობა/სისუსტე	საშუალო	ინტენსიური	შეიძლება აღინიშნოს
გადაღლილობა	არასოდეს	ხშირი	შეიძლება აღინიშნოს
სურდო	ხშირი	ზოგჯერ	დაკვირვების პროცესში <sup>4</sup>
ცემინება	ხშირი	ზოგჯერ	დაკვირვების პროცესშია
ყელის ტკივილი	ხშირი	ხშირი	დაკვირვების პროცესშია
ხველა	საშუალო	ხშირი	ხშირი
სუნთქვის გაძნელება	იშვიათი	იშვიათი	უმეტესად გართულების დროს

4 ახალი კორონავირუსი სულ რამდენიმე თვეა, რაც მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს და ვირუსის ბევრი მახასიათებელი ვერ კიდევ შესწავლის პროცესშია.



გრიპს COVID-19-თან შედარებით ხანმოკლე ინკუბაციური პერიოდი აქვს (დრო ინფიცირებიდან სიმპტომების გაჩენამდე) და უფრო სწრაფად ვრცელდება;



COVID-19-ის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია გავრცელდეს სიმპტომების გამოვლენამდე 24-48 საათით ადრე, აღნიშნული თვისება, გრიპისგან განსხვავებით, დღეისათვის არსებული ინფორმაციით, არ არის მიჩნეული როგორც დაავადების გავრცელების მნიშვნელოვანი ფაქტორი;



COVID-19 -ის შემთხვევაში, ერთი ადამიანის დაინფიცირებას შესაძლოა მოჰყვეს 2-2,5-ჯერ მეტი ადამიანის დაინფიცირება, რაც გრიპთან შედარებით, მაღალი მაჩვენებელია;



გრიპით ავადობის ყველაზე მაღალი რისკი არის ბავშვებში, ორსულებსა და ხანდაზმულებში. COVID-19-ის შემთხვევაში ხანდაზმული ასაკი და ნებისმიერ ასაკში თანმხლები დაავადებები ზრდის მძიმე ავადობის განვითარების რისკს;



COVID-19-ის ქუმარიტი სიკვდილიანობის დადგენას გარკვეული პერიოდი დასჭირდება. ამჟამად არსებული მონაცემებით, COVID-19-ის სიკვდილიანობა გრიპით გამოწვეულ სიკვდილიანობაზე მაღალია, განსაკუთრებით სეზონურ გრიპთან შედარებით. კონკრეტულად კი, COVID-19-ის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 3-4%-ს შეადგენს, მაშინ როცა გრიპით დაავადებულთა შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 0,1%-ია.

## რა კრევენციული საშუალებები არსებობს ვირუსებისგან დასაცავად


ვირუსებისგან საუკეთესო თავის დაცვის საშუალება ვაქცინაციაა. სამწუხაროდ, ანტივირუსული მედიკამენტები ძალიან ცოტაა ან ზოგიერთი ვირუსული ინფექციისთვის არ არსებობს.


ამ დროისათვის, ჯერ არ შექმნილა ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების სამკურნალო ეფექტიანი საშუალება და ვაქცინა. თუმცა ორივე მათგანზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. არაერთ ნამყვან ქვეყანაში.


ვირუსებისაგან თავის დაცვის საუკეთესო მეთოდი ჰიგიენური წესების დაცვა და სხვა პრევენციული ღონისძიებების გატარებაა, განსაკუთრებით მანამ, სანამ ვირუსი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია.


# როგორ დავიცვათ თავი ახალი კორონავირუსისგან

## დაიცავით ჰიგიენური წესები - ეს დაგვეხმარება არა მარტო COVID-19-ის, არამედ სხვა ვირუსული დაავადებების თავიდან აცილებაშიც:


 ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით და წყლით 20-30 წამის განმავლობაში, რომლის დროსაც ხდება ვირუსების და ბაქტერიების მექანიკური ჩამოშორება; ან დაიმუშავეთ ხელები 70% სპირტის შემცველი ხსნარებით;


 ხველის და დაცემინების დროს პირსა და ცხვირზე მიიფარეთ ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი, რითაც ხელს შეუშლით ვირუსებისა და მიკრობების გავრცელებას. ცხვირსახოცი გამოყენებისთანავე უნდა გადააგდოთ დახურულ ურნაში და დაიბანოთ ხელები საპნითა და წყლით; ან სპირტის შემცველი ხსნარებით;


 რეგულარულად დაალაგეთ სახლი სველი წესით;


 არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირს და პირს.

## დაიცავით დისტანცია

 მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს;

 დაიცავით სოციალური დისტანცია (2 მეტრი დისტანცია თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის);

 მოერიდეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას, განსაკუთრებით პიკის საათებში. ხელის მოსაკიდებლები, ლილაკები, ფანჯრები, სკამების ქსოვილი და სხვა ზედაპირები შესაძლოა იყოს ინფიცირებული. შესაბამისად, მგზავრობის შემდეგ დაიბანეთ ხელები ან გამოიყენეთ ხელის დასამუშავებელი სპირტის შემცველი ხსნარი;

 თუ გინევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, აუცილებლად ატარეთ ნიღაბი.

## დახურულ სივრცეში ყოფნისას გამოიყენეთ ნილაბი



ნიღბის გაკეთებამდე დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით ან დაიმუშავეთ სპირტის შემცველი ხსნარებით;



ნილაბი უნდა ფარავდეს პირისა და ცხვირის მიდამოს. დარწმუნდით, რომ ნილაბი მჭიდროდაა მორგებული სახეზე;



მოხმარებისას არ შეეხოთ ნილაბს;



ყოველ 3 საათში ერთხელ შეცვალეთ ნილაბი ახლით, არ გამოიყენოთ ერთჯერადი ნილაბი განმეორებით;



დატენიანების შემთხვევაში შეცვალეთ ნილაბი დაუყოვნებლივ;



მოიხსენით ნილაბი უკანა თასმის მეშვეობით (არ შეეხოთ ნიღბის წინა ნაწილს). მოხსნისთანავე ერთჯერადი ნილაბი გადააგდეთ უახლოეს დახურულ ნაგვის ურნაში. დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ან დაიმუშავეთ სპირტის შემცველი ხსნარით;



მრავალჯერადი ხმარების ნილაბი გარეცხეთ გამოყენების შემდეგ, გააშრეთ და მის ხელახლა გამოყენებამდე დააუთოვეთ ცხელი უთოთი.

## სხვა სასარგებლო რჩევები



თუ თქვენ კონტაქტში იმყოფებოდით COVID-19-ით ინფიცირებულთან, არ ჩავარდეთ პანიკაში!



ზოგადად, კრიზისის დროს დაბნეულობა, შიში ან ბრაზი ნორმალურია. ასეთ დროს დაგეხმარებათ საუბარი ისეთ ადამიანებთან ვისაც ენდობით;



ემოციებთან გასამკლავებლად არ გამოიყენოთ ალკოჰოლი, თამბაქო ან სხვა მავნე ნივთიერებები;



თუ საჭიროდ ჩაითვალა თქვენი იზოლაციაში ყოფნა, დაიცავით ცხოვრების ჯანსაღი წესი, იკვებეთ ჯანსაღად და იყავით ფიზიკურად აქტიური;



თუ გაქვთ **სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება** დროულად მიმართეთ ექიმს!

## ნარჩენების მართვა

ნარჩენებით, განსაკუთრებით კი სახიფათო ნარჩენებით, გარემოს დანაგვიანება ზიანს აყენებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას. სახიფათო ნარჩენების სპექტრი ფართოა და განისაზღვრება, როგორც ნარჩენი, რომელსაც ახასიათებს ერთი ან რამდენიმე ისეთი თვისება, როგორცაა ტოქსიკურობა, მომნამვლელობა, ფეთქებადობა, აალებადობა და ა.შ. სახიფათოობის ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ ნარჩენის ინფექციურობაა.

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, როცა მძიმე პანდემიურ გარემოში ვცხოვრობთ და გვინევს მრავალი ჰიგიენური საშუალების (მაგ.: ერთჯერადი ცხვირსახოცები), ასევე პირადი დაცვის საშუალებების (ნილაბი, ხელთათმანი და ა.შ.) გამოყენება საყოფაცხოვრებო პირობებში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ადამიანმა გაითავისოს საკუთარი პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს ნარჩენების, მათ შორის გამოყენებული პირადი დაცვის საშუალებების, უტილიზაცია სათანადოდ დახურულ კონტეინერში.

იმ შემთხვევაში, თუ ნილაბი, ერთჯერადი ცხვირსახოცი თუ სხვა პირადი მოხმარების ნივთი დაინფიცირებულია, ეზოებში, სადარბაზოებსა თუ ქუჩებში მათი მიმოფანტვის შემთხვევაში, ისინი ადვილად ხელმისაწვდომი ხდება ყველასთვის, განსაკუთრებით ბავშვებისთვის და, ამ გზით, შეიძლება ვირუსის უნებლიე გავრცელების თანამონაწილენი გავხდეთ.



## ლიტერატურა

1. Principles of Epidemiology in Public Health Practice –Third Edition, U.S. Department of Health And Human Services, Center for Disease Control and Prevention (CDC)
2. <https://www.cdc.gov/csels/dsepd/ss1978/index.html>
3. <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/question-and-answers-hub>
4. <https://www.nih.gov/news-events/news-releases/new-coronavirus-stable-hours-surfaces>
5. <https://www.ecdc.europa.eu/en>
6. [https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/question-and-answers-hub/q-a-detail/q-a-similarities-and-differences-covid-19-and-influenza?gclid=CjwKCAjwqpP2BRBTEiwAfpID-1G-CtBRYxZLNqO0vdXmqIKK\\_idTRdJFWpKfi2xmCXuZYtrQgt-U2xoCfsMQAvD\\_BwE](https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/question-and-answers-hub/q-a-detail/q-a-similarities-and-differences-covid-19-and-influenza?gclid=CjwKCAjwqpP2BRBTEiwAfpID-1G-CtBRYxZLNqO0vdXmqIKK_idTRdJFWpKfi2xmCXuZYtrQgt-U2xoCfsMQAvD_BwE)
7. <https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=d5870c9c-399a-42b7-9898-f175fff7cee7>
8. <https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=e3016a5e-95fb-4ccc-a0ac-0b6f4d869d10>



